სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 138

50112000 – ჰაერის ფილტრის შეცვლა

სოფ. რუხი 05 სექტემბერი, 2018 წელი

ერთის მხრივ - ა(ა)იპ „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის, დასუფთავების, კეთილმოწყობისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი“ - შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი დირექტორის ბესიკ კვირკველიას სახით და მეორეს მხრივ - შპს „თეგეტა მოტორსი“ (შემდგომში - “მიმწოდებელი“), წარმოდგენილი **რუხის ფილიალის დირექტორის გრიგოლ პერტაიას (მინდობილობა №0070, გაცემული 12/01/2018წ.)** სახით „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული ფორმით **მომსახურების** სახელმწიფო შესყიდვაზე.

- **ტერმინთა განმარტებები**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლში განმარტებულ ტერმინებს.

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის **ჰაერის ფილტრის შეცვლის მომსახურებას,** ხელშეკრულების გაფორმებიდან **2018 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

4.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს გაწეული მომსახურების ღირებულება საანგარისწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურის (ინვოისის) ან/და მიღება–ჩაბარების აქტი). შემსყიდველისათვის წარდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორებით.

5. მიღება–ჩაბარებსწესი

5.1 ხელშეკრულების ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარისწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირება.

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი.

7.2 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზაღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

8.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის.

8.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

8.3 ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა ეცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობითან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

8.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს–მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 20 ოქტომბრის** ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“:	„მიმწოდებელი“:
ა(ა)იპ „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მექანიზაციის, დასუფთავების, კეთილმოწყობისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი“ ს/კ: 442262711 მის: დ. ჩხოროწყუ, კოსტავას ქ. № 5	შპს „თეგეტა მოტორსი“ ს/კ: 202177205 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5 ტელ: 224 44 44; 599 09 09 10. ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა.ა. GE80TB 0600 0000 2446 7853

დირექტორი ზესიკ კვირკველია	რუხის ფილიალის დირექტორი გრიგოლ პერტაია თეგეტა მოტორსი TEGETA MOTORS HOLDING COMPANY #5, 12 km, D. Agmashenebeli Alley, 0131 Tbilisi, Georgia. ID: 202177205 +99532 224-44-44 www.tegetamotors.ge ანგარიშ-ფაქტურებისათვის